საქართ. მუშარც. სოც.-დემ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 20,000 მან. წონპარელი
4 „ 10,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 400 ოთხშაბათი, იანვარს 24 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

დღეს, ოთხშაბათს, იანვრის 24-ს, საღამოს 8 საათზე ოპერის თეატრის დარბაზში შესდგება

საერთო-საქალაქო კრება

უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებისა

(უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი, მუშფაკი, ცენტრ. პარტშკოლა, I და II კონსერვატორია, და სამხატვრო აკადემია) ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოში დეპუტატების არჩევნებისათვის.

1—1

## რურის ამბები და გაერთიანებული პროლეტარული ფრონტი

კომუნისტურმა აზროვნებამ პუანკარეს სრულიად. სამართლიანად უწოდა „პუანკარე—ომი“. მართლაც ეს შავი ფიგურა საფრანგეთის იმპერიალიზმისა ყველაზედ მეტს ბრალდებას ატარებს იმ საშინელი ომისათვის, რომელმაც მთელი კაცობრიობა დაანგრია და რამოდენიმე მილიონი ადამიანის მსხვერპლი შეიწირა. პუანკარეს იმპერიალისტური პოლიტიკა უმთავრესად მიმართული არის გერმანიის განადგურებისა და მისი პოლიტიკური არსებობის მოსპობისაკენ. ის ვერ კმაყოფილდება ვერსალის ავაზაკური ზავის პირობებით, რომელმაც ყოველის მხრით გასცარცვა გერმანეთი და პოლიტიკურად არ აძლევს გასაქანს მას, და ახალ აგრესიული ზომებით გამოდის გერმანიის ერის წინააღმდეგ.

საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის ერთი ნათელი შეიქმნა: მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ერი საშინელს შევიწროებას განიცდის, მისი ეკონომიური სიკვდილი შეუძლებელი შეიქმნა და ამ პროგრამაშიაც ახერხებს წარმატებას. ეს იცის საფრანგეთის იმპერიალისტებმა და ამიტომ მთელი მათი პოლიტიკა მიმართული არის გერმანიის ახალ შევიწროებისაკენ.

პუანკარეს მიზანი ყოველთვის იყო და დღესაც ის არის, რომ გერმანია გაანადგუროს ფიზიკურად. მისი პროექტი ეყრდნობა უმთავრესად გერმანიის დანაწილების საჭიროებას და მისი რამდენიმე წვრილ ერთეულად გადაქცევას: მას ამით სურდა პოლიტიკური ბუფერი შეექმნა გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ეს პროექტი თავის დროზედ ვერ გატარდა ლოიდ ჯორჯის სასტიკი წინააღმდეგობის წყალობით, რომელსაც სურდა გერმანიის სახით მაგარი კოზირი ჰყოლოდა საფრანგეთის წინააღმდეგ.

დღევანდელ ოკუპაცია გამანადგურებელ მახვილს სცემს გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებას. ქვანახშირი უმთავრესი საფუძველი არის გერმანიის ეკონომიური ცხოვრების წარმატებისათვის. საფრანგეთის იმპერიალისტებს ამ ძირითად ფაქტორებისაკენ მიაქვთ იერიშები; პირველად მას ჩამოართვეს ელზას-ლოტრინგის მაღაროები. შემდეგ საარის მაღაროები, რომელიც დაახლოებით 10—12 მილ. ტონ ქვანახშირს აძლევდა გერმანიას; მეორეს მხრით ზემო სილეზიის რაიონები გადასცეს პოლონეთს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდენ საფრანგეთის იმპერიალისტები და დღეს თავის ბატონობის ქვეშ დააყენა რურის ოლქი, რომელიც ომამდე დაახლოვებით 114,5 მილ. ფ. ქვანახშირს აძლევდა გერმანეთს. ამ ოკუპაციით გერმანიას ხელიდან გამოეცალა ქვანახშირის უმთავრესი წყარო. ამ მაღაროების გარეშე არსებობა აღარ შეუძლია გერმანიის მეურნეობას.

ვერსალის საზავო პირობებმა მეტად მძიმე გადასახადებით დაბეგრა გერმანეთის ერი. საბაჟო თანხა, რომელიც მან უნდა გადაუხადოს კონტრიბუციის სახით მოკავშირეებს, უდრის 130 მილიარ მარკას ოქროთი. ამ თანხიდან 52 პროც. ეკუთვნის საფრანგეთს. მაგრამ ეკონომიურად დაუძლურებულ გერმანიისათვის ამ თანხის გადახდა შეუძლებელი შეიქმნა, მით უფრო შეუძლებელი იქნება, როდესაც მისი სამეურნეო ცხოვრებას გამოაკლდა ერთი უმთავრესი ფაქტორი ქვა-ნახშირი. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკისათვის უფრო სასურველი შეიქმნა გერმანიის ერის ფიზიკური განადგურება და ეკონომიური დაუძლურება, ვინემ სარეპარაციო გასახადების მიღება. საფრანგეთი ცდილობს სისტემატიურად დასცეს გერმანეთი და ამოშალოს იგი დიდ სახელმწიფოთა რუქიდან.

რას ფიქრობს რურის ოკუპაციის შესახებ მეორე ინტერნაციონალის გმირები? როგორც ვიცით ვერსალის საზავო პირობებს ხელს აწერს ვ. ვანდერველდე. პუანკარეს დღევანდელი პოლიტიკა მხოლოდ გაგრძელებაა ვერსალის პირობებისა, რომელზედაც ხელი მოუწერა და დასტური მისცა ვანდერველდემ.

ცხადია მეორე ინტერნაციონალის მეთაურთა შორის რურის ოკუპაცია ვერ ნახავს სასტიკ მოწინააღმდეგეებს. გამარჯვებულ იმპერიალისტურ ქვეყნების რეფორმისტული პარტიები და მათი ხელმძღვანელები არ სცდილობენ პუანკარეს ავაზაკური პოლიტიკა დაჰგმონ და მას დაუპირისპირონ რეალური პროლეტარული ძალა. მეორეს მხრით, არც გერმანიის რეფორმისტებს აქვთ გარკვეული გეზი ამ საკითხში. ისინი მხოლოდ ცარიელი სიტყვებით და პროტესტებით გამოდიან ამ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ერთად ერთმა კომინტერნმა და მისმა სექციებმა შესძლეს პროლეტარული მასებისათვის გარკვეული გეზის მიცემა და დაგმობა პუანკარეს აგრესიული მოქმედებისა. ფართო მშრომელი მასები, როგორც საფრანგეთისა, ისე გერმანიის გმობს ამ საქციელს. ეს არის უდიდესი თავდები იმისა, რომ შესაძლებელი არის პროლეტარულ ელემენტების შეთანხმება და მათი ერთი გარკვეული პროგრამით ამოძრავება.

## ნარკვევი

**ბურჟუაზიული პარტიები ბოლგარეთში და კომპარტიის მუშაობა.**

ომის შემდეგ ბულგარეთის ბურჟუაზიული პარტიები იძულებული იყვენ ძალაუფლება გლეხურ მთავრობისათვის გადაეცათ. ეს მთავრობა სხვადასხვაგვარ ელემენტებს ეყრდნობა, ერთი მხრით—წვრილ გლეხობას და მეორე—ახალ გლეხურ ბურჟუაზიას, რომელიც ომის დროს გამდიდრდა. ამის შედეგი არის შინაგანი ბრძოლა, რომელიც ასუსტებს მის ძალას. ერთი ნაწილი გლეხური ბურჟუაზიისა ბურჟუაზიულ პარტიებთან კავშირისაკენ ისწრაფვის, იმ დროს როდესაც მეორე ნაწილი განაგრძობს დემაგოგიური პოლიტიკის წარმოებას, რათა შეინარჩუნოს თავისი პრესტიჟი გლეხობაში და ამრიგათ იძულებული იბრძოლოს ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ. ამავე დროს ბურჟუაზია, მრეწველობის აღორძინებისა და მეზობელ ქვეყნებში რეაქციის გაძლიერების გამო, ისწრაფვის ძალა-უფლების ისევ თავის ხელში ჩასაგდებათ. განსაკუთრებით აქეზებს მას ამისათვის ის გარემოება, რომ გლეხურმა მთავრობამ ვერ შესძლო კომუნისტური პარტიის დაშლა. ბურჟუაზიას სურს ბოლო მოუღოს „წითელ საფრთხეს“ და ამისათვის ბურჟუაზიული პარტიები, გაერთიანებულნი ე. წ. კონსტიტუციონურ ბლოკში, ფართო მუშაობას აწარმოებენ.

ბურჟუაზიული ბლოკის პირველი ცდა სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოსაწყობად გასული წლის მაისში,—დამარცხებით დასრულდა, რადგან კომპარტიამ თავის დროზე აღმოაჩინა. მაგრამ ამ დამარცხებამ ვერ შეასუსტა ბურჟუაზიის მისწრაფება დასახულ მიზნისაკენ.

კომუნისტურ პარტიას უხდება ბრძოლის წარმოება როგორც ბურჟუაზიული ბლოკის, ისე გლეხური მთავრობის წინააღმდეგ. ქალაქის და გლეხურ მასების მედგარი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს კომუნისტური პარტია ბურჟუაზიული ბლოკისა და რეაქციის წინააღმდეგ, გლეხურ მთავრობას ალტერნატივის წინაშე აყენებს: ან წავიდეს ამ მასსების გავლენით მარცხნივ და მაშასადამე მხარი დაუჭიროს კომპარტიის პოზიციას ბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ, ან გასცეს მასსები, მოატყუოს ისინი, რაც ჩამოაშორებს მას ამ მასსებს, განსაკუთრებით კი, წვრილ გლეხურ მესაკუთრეს. ეს უკვე ხდება ჩვენ თვალთ წინაშე. ორაზროვან, მერყევ პოლიტიკას გლეხურ მთავრობისას, უკვე შედეგათ მოსდევს გლეხური მასსების დენა კომპარტიისაკენ. უკანასკნელ ხანებში მოწყობილმა კრებებმა, მიტინგებმა და დემონსტრაციებმა გააერთიანა ნახევრათ პროლეტარული და ღარიბი გლეხობა კომპარტიის დროშის ქვეშ—ათი ათასობით.

კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: „ვრანგელის ჯარებისა და ბურჟუაზიულ თეთრგვარდიელ ორგანიზაციების განიარაღების შესახებ და აგრეთვე მუშათა და ღარიბ გლეხთა შეიარაღების შესახებ. მზადება მოახლოებულ სამოქალაქო ომისათვის თანდათან ინტენსიური ხდება ორივე ბანაკში—ბურჟუაზიისა და კომუნისტებისა. ბრძოლა ბურჟუაზიულ ბლოკსა და კომპარტიის შორის დღითი-დღე ფართოვდება. ბურჟუაზია თავს ესხმის და არბევს კომუნისტურ კლუბებსა და კრებებს. მათი ფაშისტური ბანდები თავს ესხმოდენ კომუნისტებს დუბნიცში, ტრევნში, გაბროვში და სხვ. მაგრამ მათ ყველგან დამარცხება განიცადეს და კომპარტიამ ამისათვის მრავალი მსხვერპლი გაიღო. მაგრამ კიდევ უფრო გაშმაგდა ბურჟუაზია. 1922 წლის ოქტომბრის 15-ს სამხედრო რაზმი ბურჟუაზიული ბლოკის აფიცრების ხელმძღვანელობით თავს დაესხა კომუნისტურ კრებას კიუსტენდილში, სროლის დროს მოკლულ იქნა სამი მუშა და დაჭრილი ათი. ამ თავდასხმას პარტიამ უპასუხა კიდევ უფრო მეტი ენერგიული მუშაობით შეიარაღებული აჯანყების მზადებისათვის.

კომპარტიას ბულგარეთში აქ ჟამათ ჰყავს 40,000 წევრი, არჩევნებში მიიღო 220,000 ხმა და პარლამენტში ჰყავს 40 დეპუტატი (საერთო რიცხვი 216 არის). მის ამრჩეველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. პარტიული ორგანო „მუშის გაზეთი“ გამოდის 25,000 ცალი, გლეხური გაზეთი—10,000 ცალი და სხ. 1919 წლიდან პარტიამ გამოსცა და გაავრცელა 1.500,000 ორიგინალური და თარგმნილი კომუნისტური ბროშურა. თეთრგვარდიელების მიერ დამწვარ სოფიის სახალხო სახლის მაგივრად საერთო მუშათა ამხანაგობა „განთავისუფლება“-მ, რომელსაც 100,000-ზე მეტი წევრი ჰყავს, ააშენა ახალი სახლი, რომელიც ძველზე უფრო დიდი და კარგია.

ბერძნული ნაციონალური ბურჟუაზიის და ინგლისის იმპერიალიზმის დამარცხება, საბერძნეთში განვითარებული კრიზისი და ქემალის ჯარების გამარჯვება,—ყოველივე ეს სცვლის მდგომარეობას ბულგარეთში და ამწვავებს ბალკანეთის კრიზისს. მუშათა და გლეხთა რევოლუციონურ მოძრაობისათვის ბალკანეთში ახალი პერსპექტივები იშლება. ბულგარეთი კომპარტიის ზრდასთან ერთად იზრდებიან მეზობელი ძმური პარტიები ბალკანეთის სახელმწიფოებში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ბალკანეთის ქვეყნების პროლეტარიატი იმ სიმაღლეზე დადგება, რომ შეასრულებს მძიმე, მაგრამ უდიდეს ამოცანას, რომელსაც ისტორია აკისრებს მას ახლო მომავლისათვის.

## რურის ოლქის ოკუპაცია

**„ნახშირის მარკა“**

**ლონდონი.** 22 იანვარი, საფრანგეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს დაკავებულ ოლქებში გერმანიის მარკა შესცვალოს ნახშირის მარკით. ამის გამო საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ბელგია სავსებით ეთანხმება საფრანგეთს ახალი ფულის ნიშნების გამოშვებაში, რაც მოხდება, როგორც იტყობინებიან, 1 თებერვლიდან, 14.300.000 გირ. სტერ. რაოდენობით, ნახშირის და კოქსის ექსპლოატაციიდან მიღებულ შემოსავლის უზრუნველყოფით.

**დაპატიმრებანი ესსენში.**

**ლონდონი.** 22 იანვარი. დღეს ესსენში დააპატიმრეს რურის 6 ნახშირის მეფე, ფოსტის დირექტორი და სატელეგრაფო განყოფილებების უფროსები.

**გერმანიის ჯარები.**

**ლონდონი.** 22 იანვარი. პარიზის „ბირჟის უწყებების“ ცნობების მიხედვით, რურის ოლქში გაიგზავნა გერმანიის რეგულიარული ჯარები. გაგზავნილ ჯარების რაოდენობა გამოურკვეველია.

**ნაწილობრივი გაფიცვა.**

**ნაუენი.** 22 იანვარი. მაღაროების დირექტორების და მოსამსახურეების დაპატიმრების გამო, ზოგიერთ მაღაროებში დაიწყო გაფიცვები. დანარჩენ მაღაროებში წამოყენებულია მოთხოვნილება საფრანგეთის ჯარების გაყვანის და დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცხადებული იქნება გაფიცვა.

**ხიშტების მუქარის ქვეშ.**

**ნაუენი.** 22 იანვარი. მიუხედავად იმისა, რომ მუშები და მოსამსახურეები უარს ამბობენ მუშაობაზე ხიშტების მუქარის ქვეშ, საფრანგეთის ხელისუფლება კვლავ ემატება დამხმარე ძალები. საფრანგეთის ხელისუფლება ამზადებს აგრეთვე მაღაროების ექსპლოატაციის და რკინის გზით მიმოსვლის სრულ რეორგანიზაციას, რის გამოც ყველა რკინის გზის კვანძი უჭირავთ სამხედრო რაზმებს, რომლებიც აჩერებენ და სინჯავენ ყველა ნახშირით დატვირთულ მატარებლებს.

**გადაყენება.**

**ნაუენი.** 22 იანვარი. გენერალი დეგუტის ნაცვლად დაინიშნა ცნობილი გერმანოფობი გენერალი ვეიმანდი.

**იტალიის თრპირობა.**

**ნაუენი.** 22 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობით იტალიის მთავრობას განზრახული აქვს აცნობოს ლონდონს და პარიზს იმის შესახებ, რომ რურში შექმნილ მდგომარეობას ის სთვლის საფრთხედ ევროპის მშვიდობიანობისათვის. მაგრამ იტალია არ მიიღებს თავის თავზე შუამავლის როლს.

**სასურსათო კრიზისი „მწვავდება.**

**ჰანოვერი.** „ჟურნალ დე დებას“-ს სპეციალური კორესპონდენტი აღიარებს, რომ რურის ოლქის სასურსათო მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელია მისი მოგვარება.

**პროტესტი ფრანგების მოქმედების წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. მთელ რიგ შემთხვევებში რურის მემაღაროები წინააღმდეგობას უწევდნენ ფრანგების მიერ მაღაროების დაჭერას იმუქრებოდნენ რა გაფიცვით.

**რკინის გზელთა გაფიცვა.**

**მოსკოვი.** რურის ოლქში მოელიან რკინის გზელების საყოველთაო გაფიცვას.

„პტი პარიზენის“ ცნობით დიუსელდორფში დაიწყო რკინის გზელთა გაფიცვა, რომელთაც უარი განაცხადეს ნახშირის გადაზიდვაზე.

**ნაოსნობა რეინზე.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. რეინზე ნაოსნობა სრულიად შეწყდა, რადგან ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს რეინის გემებისათვის საჭირო ნახშირს.

**ბანკების რეკვიზიცია.**

**მოსკოვი.** 23 იან. მაინცის ბანკის განძეულობა ხელთ იგდეს ფრანგებმა.

დორტმუნდში და დიუსელდორფში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს ბანკების შენობებს და წაიღეს მათი ფონდები.

დიუსელდორფში აღარებელი ხალხი შეიკრიბა ბანკების შენობების წინ და მოითხოვდა ბანკის ქონების უკან დაბრუნებას.

**მაღაროების მეპატრონეების სამართალში მიცემა.**

**მოსკოვი.** 23 იანვ. საფრანგეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა და სამხედრო სამართალში მისცა 6 მაღაროს მეპატრონე, მათ შორის ტისსენი, რომელთაც უარი განაცხადეს საოკუპაციო ჯარებისთვის დამორჩილებაზე. დაპატიმრებულთა ქონებას კონფისკაცია უყვეს. მათი ნათესავები გადაასახლეს რურის ოლქიდან.

**ნახშირის გაზიდვა.**

**მოსკოვი.** 23 იანვ. ესსენიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობამ აუკრძალა რკინის გზის ადმინისტრაციას ხელი შეუწყოს მოკავშირეებს რურის ნახშირის გაზიდვაში.

**საფრანგეთი და გერმანია.**

**მოსკოვი.** 23 იანვ. გერმანიის რეიხსტაგის სდომაზე პრეზიდენტმა განაცხადა, საფრანგეთის მოქმედების შედეგი იქნება არა რეპარაციების სავსებით მიღება, არამედ გერმანიის ხალხის სიძულვილის გაძლიერება საფრანგეთისადმი.

**ფრანგების წინსვლა დამთავრდა.**

**მოსკოვი.** 23 იანვ. გაზეთების ცნო-

ბით რურის ოლქში ფრანგების წინსვლა დამთავრდა. ფრანგებმა დაიჭირეს ყველა რკინის გზის სადგურები და ნახშირის მრეწველთა კანტორები.

**ამსტერდამის თათბირი.**

**მოსკოვი.** 23 იანვ. „ფორვერტს“-ის ცნობით სამთამადნო მუშების, მელითონეების და ტრანსპორტის მუშების წარმომადგენლთა ამსტერდამის თათბირმა, აზრთა წინააღმდეგობის გამო ვერ მიაღწია შეთანხმებას რურის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოსვლის საკითხის შესახებ.

**გომპერსი მხარს უჭერს რურის ოკუპაციას.**

**მოსკოვი,** 23 იანვარი. ამერიკის ყვითელ პროფკავშირების თავმჯდომარემ გომპერსმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს რურის ოკუპაციას, რადგან ამ შემთხვევაში საფრანგეთი იცავს თავის ინტერესებს.

**ნოტების გაცვლა-გამოცვლა.**

**მოსკოვი,** 23 იანვარი. გერმანიის მთავრობის პროტესტის საპასუხოდ ოკუპაციის გაფართოების და ნახშირის რეკვიზიციის წინააღმდეგ საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მოკავშირეები შეუდგნენ რეკვიზიციას მხოლოდ გერმანიის მრეწველობის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ და რომ ჩამორთმეული ქონება შედის სარეპარაციო გადასახადის ანგარიშში.

საპასუხო ნოტაში გერმანიის მთავრობა ბრალს სდებს საფრანგეთს პირფერობაში და მისი მოქმედების ჭეშმარიტ მოტივების დაფარვაში.

**საყოველთაო გაფიცვა.**

**მოსკოვი,** 23 იანვარი. „პტი ჟურნალის“ ცნობებით, ესსენის პროფკავშირთა გაერთიანებამ დაადგინა გამოაცხადოს 22 იანვარს რკინისგზების, მელითონეების და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების საყოველთაო გაფიცვა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

**მუშების და მოხელეების პროტესტი.**

**მოსკოვი,** 23 იანვარი. საერთო-გერმანიის და აგრეთვე პრუსიის, ბავარიის, გესენის და ოლდენბურგის მთავრობათა ბრძანებით გერმანიის მოხელეებს აკრძალული აქვთ საოკუპაციო ხელისუფლებისა და რეინის განაპირა ადგილების კომისიების განკარგულებათა შესრულება.

გერმანიის პროფკავშირები წერილში საფრანგეთის გენერალ დეგუტისადმი აღნიშნავენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ დაემორჩილონ მხოლოდ გერმანიის მთავრობას და მოითხოვენ დიუსელდორფის საფინანსო სამმართველოს თავმჯდომარის განთავისუფლებას.

— სახელმწიფო მაღაროების ფაბრიკა-ქარხნების გაერთიანებამ ძლიერ სასტიკ რეზოლიუციაში დაადგინა მოსთხოვონ გენერალ დეგუტს დაპატიმრებული მუშების და მოხელეების დაუყონებლივი განთავისუფლება, მაღაროებიდან საფრანგეთის ჯარების გაწვევა და კონფისკაციის გაუქმება.

ამაზე უარის თქმის შემთხვევაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების გაერთიანება იტოვებს მოქმედების თავისუფლებას.

**ბანკის დირექტორების დაპატიმრება.**

**მოსკოვი,** 23 იანვარი. საფრანგეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა ლანდოუში და ლიუდვიგსგაფენში სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა დირექტორები რომლებმაც უარი განაცხადეს საკონტროლო კომისიისადმი დამორჩილებაზე.

**მუშების გაძევნით.**

**პარიზი,** 23 იანვარი. საოკუპაციო ხელისუფლებამ გადასწყვიტა გააუქმოს ბრძანება საოლქო საფინანსო სამმართველოს თავმჯდომარის გადასახლების შესახებ.

**ინგლისის მეგობრული პოზიცია.**

**ლონდონი,** 23 იანვარი. ინგლისის მთავრობა თვალყურს ადევნებს რურის ოკუპაციის განვითარებას და კვლავ ადგება მეგობრულ პოზიციას ფრანგების მოქმედებისადმი. გაზეთები კვლავ შიშს გამოსთქვამენ რურის ოკუპაციის შედეგების გამო.

**მდგომარეობა ძლიერ გართულდა.**

**ლონდონი.** 23 იანვარი. „დეილი მეილი“-ს სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ მდგომარეობა რურში ძლიერ გართულებულია. მუშების საყოველთაო გაფიცვა საბოლოოდ გაანადგურებს მრეწველობას. მხოვრებთა მღელვარება უფრო და უფრო ძლიერდება და პოლიციას არ ძალუძს ჩააცხროს მათი წინააღმდეგობა. ნახშირის გაზიდვა ძლიერ ძნელი ხდება, დაკავებულ მაღაროებში ადგილი აქვს საფრანგეთის სამუშაოებზე თავდასხმას. გაიფიცნენ ჰაგენში დორტმუნდის მოსამსახურეები. „დეილი მეილი“-ს პარიზელი კორესპონდენტი ამბობს, რომ საყოველთაო გაფიცვის შემთხვევაში, საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს სავსებით ჩამოაცილოს რურის ოლქი დანარჩენ გერმანიას და არ გაატაროს ამ მხარიდან გერმანიისაკენ არავითარი პროდუქტი.

**ინგლისის პოზიცია.**

**რომი,** 23 იანვ. ფიქრობენ: რომ დელა ტორეტა შესძლებს დაარწმუნოს ინგლისის მთავრობა, რომ აუცილებელია ინგლისის განმარტოებულ პოზიციის უარყოფა და საკონტრიბუციო საკითხში იტალიასთან შეერთება.

**იტალიის შუამავლობა.**

**მანჩესტერი.** 23 იანვარი. რომიდან იტყობინებიან, რომ იტალიის მთავრობას განზრახული აქვს საფრანგეთს და გერმანიას შორის ითამაშოს შუამავლის როლი „ჯიორნალე დ-იტალია“ იტყობინება, რომ მოხდა მოლაპარაკება რომს და საფრანგეთის და რომს და პარიზს შორის.

„იდეია ნაციონალე“ ურჩევს ინგლისს, რომ მან მხარი დაუჭიროს იტალიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

**ერთა ლიგის შუამდგომლობა.**

**მანჩესტერი.** 23 იანვარი. ინგლისის წრეებში იხილავენ საკითხს საკონტრიბუციო პრობლემის გადაჭრის ერთა ლიგისათვის გადაცემის შესახებ.

**გაფიცვების ტალღები.**

**ლონდონი.** 23 იანვარი. რურის ოლქის მრავალ მაღაროებში გაფიცვები ძლიერდება ფრანგების დათმობაზე წასვლის გამო. ფიქრობენ, რომ დორტმუნდის გაფიცვა მალე დამთავრდება.

**„მნიშვნელოვანი ზომები“.**

**ლონდონი.** 23 იანვარი. „დეილი მეილი“-ს ცნობით შესდგა საფრანგეთის კაბინეტის სხდომა პუანკარეს ფოშის და სამხედრო და სამოქალაქო ექსპერტების მონაწილეობით, რომელზედაც მიღებულია ძლიერ მნიშვნელოვანი ზომები შექმნილ მდგომარეობის მიმართ. სანამ მოხდებოდეს ამ ზომების ცხოვრებაში გატარება, გერმანია იქნება გაფრთხილებული განსაკუთრებული სასტიკი ნოტით იმის შესახებ, რომ მისი შემდეგი წინააღმდეგობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ახალი დამსჯელი ზომები.

# ახლო აღმოსავლეთი

**სრუტეების საკითხი**

**პარიზი** 23 იანვარი. ჩიჩერინის პროტესტის პასუხად, სრუტეების კომისიის მუშაობის შესახებ მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ეს კომისია მახლობელ დროში შეიკრიბება.

**მოკავშირეების პოზიცია**

**პარიზი** 23 იანვარი. გაიმართა თათბირი ლორდ კერზონის, ბონარის გაროსის და ისმეტ ფაშას შორის პარიზის მოლაპარაკების და ოსმალეთთან ხელშეკრულების დადების შესახებ. დირექტივები, რომელიც საფრანგეთის დელეგაციამ მიიღო, ეთანხმება იტალიის თვალსაზრისს. ლორდ-კერზონი რამოდენიმედ სხვა თვალსაზრისზედ სდგას.

**სირიის და მესოპოტამიის საკითხი**

**პარიზი** 23 იანვარი. კერზონის წინადადებაზე, რათა დღევანდელი პირველი კომისიის დღევანდელი სხდომისთვის წარმოედგინათ საჭირო განმარტებანი. მესოპოტამიის და სირიის საზღვრების საკითხში ოსმალეთის თვალსაზრისის გამო ოსმალები დასთანხმდნენ პასუხის წარდგენაზე, მაგრამ, როგორც ფიქრობენ სირიის საზღვრების საკითხი არ იქნება დასმული ვინაიდან იგი უკვე გადაწყვეტილია საფრანგეთ-ჰუნგრეთის ხელშეკრულებით.

**მოსულის საკითხი**

**ლონდონი** 23 იანვარი. ლორდ-კერზონმა აცნობა ოსმალეთის და მოკავშირეების დელეგაციებს, რომ წინადადებას იძლევა მოსულის საკითხი გადაეცეს განსახილველად იმ კომისიას, რომელიც ამ კვირაში შეიკრიბება მისი თავმჯდომარეობით, მოსულის საკითხი საჭიროა გადაწყვეტილ იქნეს მცირე აზიაში ოსმალეთის დ სომხეთის საზღვრის გასაყვანად და ზოგიერთ შესწორების შესატანად საბოლოვო ხელშეკრულების პროექტში, რომელსაც ახლო მომავალში გადასცემენ ოსმალოებს განსახილველად.

**ფრაკიაში**

**მანჩესტერი** 23 იანვარი. ფრაკიიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბერძნებმა დაიკავეს მარიცის მარჯვენა ნაპირი. ფრაკიაში საბერძნეთის 70.000 ჯარების დაგროვება დიდ აურ-ზაურს იწვევს პარიზში.

**ბორდო** 23 იანვარი. გაზ. „მატენის“ ცნობით ფრაკიაში სერიოზულ მდგომარეობის გამო, გაუქმებულია აღმოსავლეთის ექსპრესის მიმოსვლა.

**ანგორა** 18 იანვარი. 16 იანვრის ოპერატიულ ცნობებში აღნიშნულია ბერძნების ცდა დაიკავონ მარიცის ხეობა და მისი მარჯვენა ნაპირი, მუდანიის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

**ქემალ-ფაშა კონფერენციის შესახებ**

**ანგორა** 18 იანვარი. ანგორიდან გამგზავრების დღეს ქემალ-ფაშამ გაზ. „ენი გიუნის“ რედაქტორს ჯელალ-ნურის განუცხადა: „ლოზანის კონფერენცია იმყოფება ამ ჟამად მეტად სერიოზულ პერიოდში, მოკავშირე დელეგატები ჯერ კიდევ არ სცნობენ ჩვენ კანონიერ უფლებას, ხელს უშლიან ოსმალეთს ზავის და მშვიდობიანობის მიღწევის საქმეში, რითაც თავიანთ ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენო“.

**ოპერატიული ცნობები**

**ანგორა** 18 იანვარი. ოპერატიულ ცნობით, ინგლისელებმა მოსულის რაიონში ძალით აიძულეს ოსმალები ხელი მოეწერათ ყალბ აქტზე, ქურთისტანის დამოუკიდებლობის შესახებ. ცნობებში აღნიშნულია აგრეთვე დასავლეთ ფრაკიაში ბერძნების ძალდატანებათა შესახებ.

# უცხოეთი

**სესხის გარანტია გერმანიაში.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. გაზ. „როტე-ფანე“ იტყობინება, რომ მსხვილი მრეწველობის წარმომადგენლებმა სტინესის მეთაურობით წინადადება მისცეს გერმანიის მთავრობას, 20 მილიარდიანი ოქროს სესხის გარანტიის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ რკინის გზა მრეწველების ხელში გადავა.

**მარკის კურსი.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. გერმანიის მარკის კურსი დაეცა ისე რომ 24.000 ღირს დოლარი.

**პოლონეთი და საფრანგეთი.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. პოლონეთის სეიმის კომისიაში გარეშე საქმეთა მინისტრმა ოქშინსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი მჭიდრო კავშირში იმყოფება საფრანგეთთან და თვალყურს ადევნებს ვერსალის ხელშეკრულების შესრულებას. ხმები, თითქოს პოლონეთმა უარი სთქვა საფრანგეთთან ერთად გამოსვლაზე, არის გერმანულ წრეებში შეთხზული ინსინუაცია.

დასკვნაში ოქშინსკიმ განაცხადა თუ საფრანგეთი მოგვიწოდებდა ჩვენ საერთო მოქმედებისაკენ, ჩვენ უეჭველია თანხმობას მივცემდითო.

**სიკორსკის განცხადება.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. პოლონეთის პრემიერმა სიკორსკიმ განუცხადა პოლონეთის პრესის წარმომადგენლებს, რომ პოლონეთს არ აქვს საომარი ზრახვები. სიკორსკის სიტყვით სამხედრო მინისტრის და შტაბის უფროსის უკანასკნელ გამგზავრებას და აგრეთვე სამხედროვალდებულთა რეგისტრაციას არავითარი კავშირი არ აქვს სამხედრო მზადებასთანო.

**საფრანგეთი და გერმანია.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. პარიზიდან მიღებულ განკარგულების თანახმად გერმანიაში არსებული საფრანგ. ბანკი და აგრეთვე მის გამგეობა ბერლინში დაიხურა. ბანკის დირექტორი მთელი შტატით გაემგზავრა ოკუპაციით დაკავებულ ოლქში.

გერმანიაში ამ მოვლენას სთვლიან ომის დაწყების ნიშნათ, ომის დაწყებაში ყველა დარწმუნებულია.

**ჰუნგრეთში.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. დიდი დი მცირე ანტანტის დიპლომატიურმა გამოსვლებმა ბუდაპეშტში დიდი მღელვარება გამოიწვია. ჰუნგრეთის მთავრობას განზრახული აქვს შექმნას ერთიანი ეროვნული ფრონტი ჰუნგრეთის შინაურ საქმეებში ანტანტის ჩარევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**რუმინია და ჰუნგრეთი.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. რუმინიის პრესა სრულიად არა დამაკმაყოფილებლად სთვლის ჰუნგრეთის მთავრობის მოქმედებას. მცირე ანტანტის თვალსაზრისი მოითხოვს ბუდაპეშტში მყოფ მოკავშირეთა წარმომადგენლობის ახალ და უფრო ენერგიულ გამოსვლას.

პრესა ფიქრობს, რომ ჰუნგრეთის და იტალიის ფაშისტებს და აგრეთვე კროატების კლერიკალებს განზრახული აქვთ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ სამხრეთ სლავიის წინააღმდეგ და ბრალს სდებენ დიდ ანტანტას ჰუნგრეთის რეაქციონერების დაცვაში.

**მუშების დევნა ჰუნგრეთში.**

**მოსკოვი.** 23 იანვარი. ჰუნგრეთის მთავრობამ ისარგებლა რა [illegible] დიპლომატიურ მდგომარეობით, დააპატიმრა პროფკავშირის [illegible] ზიციის ბელადები და მთელი რიგი მუშებისა, [illegible] კონტრ-რევოლიუციონურ გენერლების მკვლელობაში პროლეტარულ რევოლიუციის დროს.

# ახალი ამბები

— **ყურადღება დამსახურებულთ.** ქალაქის აღმასკომმა წინადადება მისცა თავის კომენდანტს შეადგინოს დარაჯებისა და შიკრიკების სია და საბუთებით გამოარკვიოს, — თუ ვის რამდენი წელი უმსახურნია აღმასკომში სხვა და სხვა მთავრობის დროს დღევანდლამდე და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს.

— **ხელოვნების მუშაკთა კავშირში.** ხელოვნების მუშაკთა კავშირის კულტურულ განყოფილებამ გასულ თვის დეკემბრის განმავლობაში გახსნა ხელოვნების მუშაკთა სახლი აკადემიურ პატარა თეატრის შენობაში. კულტურულ განყოფილებამ ამას გარდა დაარსა სამკითხველო, წიგნთ-საცავი და პოლიტიკური წრე. პოლიტიკურ წრესთან დაარსებულია მეცნიერული, ლიტერატურული და სამხატვრო სხვა და სხვა წრეები. ამავე ხნის განმავლობაში ხელოვნების მუშაკთა კავშირმა გამოსცა მე-2 №-ი ჟურნალი „ხელოვნების დროშა“.

— **პოლიგრაფიულ განყოფილებაში.** პოლიგრაფიულ განყოფილების მუშაკთა კავშირმა დეკემბრის თვეში უპირველესი ყურადღება მიაქცია თავის კლუბის მოწყობა-გამართვას. კავშირის წევრთა შორის იმყოფებიან მსახიობები, მუსიკოსები, რომელთა შემწეობით მოეწყობა სახალხო წარმოდგენები და კონცერტები.

— **მბეჭდავთა კავშირში.** შაბათს, 20 იანვარს, შესდგა მბეჭდავთა კავშირის ბიუროს სხდომა. ამორჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგ შემადგენლობით: პასუხისმგებელი მდივანი—ამხ. გულუმიანი, ავენირი და გურსკი. კანდიდატებად —ამხ. იოანისიანი. სხდომები პრეზიდიუმისა გაიმართება ყოველ სამშაბათობით.

— **ანდრიოლეტის სახელოსნო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძისთვის.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს აღმასკომმა გადასცა ანდრიოლეტის სახელოსნოს ნაწილი (პლეხ. პრ. № ), რომელიც მან უსახსრობის გამო უფასოდ დააბრუნა. დადგენილია სასწრაფოთ შეკეთებულ იქნას აგრეთვე მოქაადაკე ი. ნიკოლაძის სახელოსნო კობის ქუჩაზე № 2.

— **კამოს ძეგლის გამოფუშავება,** აღმასკომის პრეზიდიუმმა ხელოვნების მთავარ კომიტეტს სთხოვა გამოიმუშაოს ამხ. კამოს ძეგლის გეგმა.

— **აგური ნაძალადევის თეატრისათვის.** აღმასკომის პრეზიდიუმმა მიანდო კომუნალურ კოლეგიას, ნაძალადევის თეატრისათვის აგურის მიცემის მოგვარება ტეხნიკურის მხრით.

— **ტეხნიკუმების და შრომის სკოლების გაერთიანება.** აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ ჩათვლილია მიზან-შეწონილად ქალ. ტფილისის ტერიტორიაზე მდებარე შრომის სკოლებისა და ტეხნიკუმების გაერთიანება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიდანაც გადმოვა ესა თუ ის სკოლა, დაფარავს აღნიშნულ სკოლის ხარჯებს.

— **თესლების შეძენა გერმანიიდან.** აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას მიენდო გერმანიაში სხვა და სხვა თესლების შესყიდვა.

— **ამ.-კავკ. შრომის სახ. კომისარიატში.** ამ.-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს უმუშევართათვის სასადილოები. საქმის დასაწყებად დადგენილ იქმნა მიეცეთ უფასო სადილი უმუშევარ ახალგაზდობას. სათანადო ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად და მატერიალურ საშუალებათა გამოსარკვევად დაარსებულ იქნება კომისია. ამას გარდა პრინციპიალურად ცნობილ იქმნა—აუცილებელ საჭიროებათ უმუშევარ ახალგაზდობის კვირეულის მოწყობა რესპუბლიკის მასშტაბით.

— **საქარ. რესპუბლიკის მცხოვრებთა აღწერის ხარჯთ-აღრიცხვა.** საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა აღწერის ხარჯთ-აღრიცხვა 11,289,500,000 მანეთის, რომელიც მოხდა 1922 წლის ნოემბრის თვეში.

# საქართველოს ცენტრალური აღმასკომის 3-მე სესია

იანვრის 19-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე ამხ. მახარაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესია.

დღის წესრიგშია. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება, საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია, მოხსენებები სახ. განათლების კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შეცვლა, საქართ. ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმის შეცვლა და საკითხი ადგილობრივ აღმასკომებისა და ამ.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის საურთიერთო დამოკიდებულებისა.

რეგლამენტის მიღების შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო ხელშეკრულების შესახებ, რის შემდეგაც მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. ორახელაშვილის მოხსენება, არაჩვეულებრივი სესია ადასტურებს და ამტკიცებს საკავშირო ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია უკრაინის, ბელორუსეთის. ამ.-კავკასიის რესპუბლიკების და რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლების მიერ საბჭოთა პირველ საკავშირო ყრილობაზე.

რაპალოს ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. ელიავა. მომხსენებელი აღნიშნავს რაპალოს ხელშეკრულების დადების ისტორიას და აცნობს სესიის ხელშეკრულების დამატებით ტექსტს, ბელორუსეთის, უკრაინის, საქართველოს, აზერბეიჯანის, სამხრეთის და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკებზე მისი გავრცელების შესახებ. მოხსენების დასასრულს, მომხსენებელს შეაქვს შემდეგი წინადადებანი: 1) რატიფიკაცია ქმნილი იქნას. პირველდაწყებითი და დამატებითი ხელშეკრულებანი, შეკრული 1922 წლის ნოემბრის 5-ს და მიენდოს სრ. საქართ. ცენტრ. აღმასკომს შეადგინოს სარიტიფიკაციო სიგელი, რომელიც უნდა გადაცემულ იქნეს გერმანიის მთავრობასთან; ხელშეკრულება გავრცელდეს ჩვენ რესპუბლიკაზეც და 2) მიენდოს პრეზიდიუმს გამოსთქვას თავისი მოსაზრებები გერმანიის ამბების შესახებ, პოლიტიკური შეფასება მისცეს მათ და ამით მხარი დაუჭიროს გერმანიის მუშათა კლასს.

ამხ. ელიავას წინადადებანი მიღებულ იქნა სესიის მიერ ერთხმად.

# შალვა დადიანი

**(მოგონება მისი იუბილეს გამო)**

ეს იყო 1920—21 წლის ზამთრის სეზონი ქუთაისში. ძველი დრამატიული საზოგადოების გამგეობა, ივანე პურადაშვილის თავმჯდომარეობით, რომემელიც დიდი ხნით იყო შერჩენილი აღნიშნულ საზოგადოების საქმეს—გადადგა და, როგორც ყოველთვის სჩვეოდა ახალი საზოგადოების არჩევნებს, კვლავ მოჰყვა დაუსრულებელი აურ-ზაური და შეჯახებანი წმინდა პარტიული მოგების თვალსაზრისით. ახლად შობილმა გამგეობამ, ამხ. იაკობ ფანცხავას თავმჯდომარეობით, დაადგინა მოეწვია ამ წლის სეზონში—დასის რეჟისორად, ქუთაისის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი შალვა დადიანი.

ადგილობრივი დასის კოლექტივი შეივსო სხვა და სხვა ქალაქებიდან და პროვინციებიდან მოწვეულ ახალგაზრდი მსახიობებით. სცენის გარშემო შეიკრიბა სცენის მოყვარეთა საუკეთესო ძალები და დაიწყო გულმოდგინე მუშაობა—იმ ენტუზიაზმით, რომელიც საზოგადოთ სჩვევია ყოველგვარი საქმის ახალ დასაწყისს. სეზონი უნდა გახსნილიყო შალვა დადიანისავე ისტორიული პიესა „ვარამით“, რომელიც მისი დაწერიდან—ჯერ კიდევ პირველად იდგმებოდა სცენაზე.

გან.

მეურნეობისაგან კუთვნილი სოციალური

—

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

ტირაჟი 700 საქართ. უწიდ. მთავ. ხაზ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.

ამ პიესის მთელი აქტიური ძალა შევსებული იქნა ქუთაისის თეატრის გარშემო შეკრებილ სცენისმოყვარე ახალგაზრდობით, რომელთა თამაშმა თითქმის სავსებით გაამართლა ამ ისტორიული ოცნების, შორეული საუკუნის მძიმე, მაგრამ მაინც ქართული სულით აღულებული სახეების კოლორიტი.

პიესამ და მოთამაშეებმაც მაშინ დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის თეატრულ საზოგადოებაში.

მაგრამ მთავარი ღერძი შალვას შემოქმედებისა ამაში კიდევ არ მდგომარეობს. საყურადღებო ის გახლავთ, რომ ამ სეზონში დაიწყო სწორედ ახალგაზრდობის შემოკრება სცენის გარშემო. ჯერ კიდევ ახალგაზრდათა შემოქმედების წრეები არ არსებობდა, ორგანიზაციულად შეკრული, როდესაც ამ ახალგაზრდათა სცენისმოყვარეებმა საგანგებოთ მოწვეულ კრებაზე აირჩიეს თავისი საკუთარი გამგეობა. გამომუშავებულ იქნა კავშირის წესდება და მომავალ მუშაობის გეგმა. აქ ინიციატივა ეკუთნოდა შალვა დადიანს. გადაწყვეტილ იქნა მოწვეული ყოფილიყო ლექტორები—სცენიური ხელოვნების შესასწავლად და ამ საქმის მოგვარებაში უდიდესი დახმარება ეკუთნოდა თვით შალვა დადიანს, და მსახიობს ელ ო ანდრონიკაშვილის. შალვა შეუდგა წრეში ლექციების კითხვას „დრამის და თეატრის ისტორიიდან“. მაშინ პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული—ახალგაზრდა ლექტორი, მაშინდელი ქართული გიმნაზიის პედაგოგი, ოსიკო დევდარიანი, აწყობდა სისტემატიურ მოხსენებებს კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ. მისი საგანი იყო: „სცენიური ხელოვნება, ემოციონალურ პსიქოლოგიასთან დაკავშირებით“. ჩვენი დამსახურებული ბელეტრისტი ნიკო ლორთქიფანიძე დაგვპირდა ლექციების წაკითხვას: „ლიტერატურის ისტორიიდან“. ჩვენი პრაქტიკული მუშაობა სრულიად გამოყოფილი იქნა, მთავარი დასის მუშაობისაგან. ამრიგად, ამ 55-მდე ნამდვილ და 20-ოდე თავისუფალ მსმენელ ახალგაზრდების წრემ, თითქმის დრამატიული სტუდიის სახე მიიღო. ყოველი ჩვენი ნაბიჯი წაქეზებული იყო შალვას მიერ. ყოველი ახალი ძიების სახეები, გამთბარი და გალვივებული იყო მის მიერ და ჩვენს შეკავშირებას და გულმხურვალე დამოკიდებულებას საქმისადმი, მუდამ ათბობდა შალვას ჩვენდამი სიყვარული, ტკბილი და თავაზიანი სიტყვა და უმთავრესად მისი კეთილშობილური მოპყრობის მაგიერი გავლენა.

ბოლო ხანებში დაარსდა ახალგაზრდა პოეტ ხელოვანთა ჯგუფი „ფენიქსი“, რომელთან მჭიდრო კავშირი დაიჭირა აღნიშნულმა წრემ.

ცივი იყო მაშინდელი ზამთარი და საყინულე ჩვენი თეატრი. საშინელება იყო იქ მუშაობა. მუდმივი კინკლაობა იყო მსახიობთა შორის და ხუსტი იყო რეჟისორის ლმობიერი, მუდამ შემარიგებელი სიტყვა.

ახალმა გადატრიალებამ თებერვალში დაშალა სამწუხაროდ ამ წრეების მუშაობა. ახალგაზრდობა გაიფანტა და ამ რიგათ პირველი მტკიცე ნაბიჯი, გადადგმული ქუთაისის ახალგაზრდობის მიერ შალვას მეთაურობით დრამატიულ სტუდიის შესაქმნელად, შექმნილ პირობების გამო დაიფუშა.

დღეს-დღეობით მცირე ნაწილი ამ ახალგაზრდობისა, მოხვდა აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიაში მსმენელებათ და სიამოვნებით იგონებენ ქუთაისს, მის აბანოსავით ჩაფხატულ თეტრს, პირველ სტუდიურ წრეს და შალვას, მის სულის ჩამდგმელ მამას.

U

# ზოგი რამ

### 1. ილიას ძეგლი—ბიუსტი.

აკაკი და ილია ერთ-ერთ ჩემს წერილში იმისთვის მოვათავსე ერთად რომ თანაბარი სიდიადის მწერლები იყვნენ, თორემ ერთმანეთის ბადლობას ვერ გასწევდენ. ილია სოციალ იდეათა მწერალი იყო უპირატესად და განმარტოებულად იდგა მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც დიდი ხელოვანი. როდესაც მე შეუძლებელად მივიჩნიე აკაკისა და ილიას დასახასიათებლად მეთქვა შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე, „ამით ჩემი შეხედულობაც გამოვსთქვი მაშასადამე გავიზიარე ის აზრი, რომ როგორც აკაკი, ისევე ილია, რასაც სწერდნენ, არ ასრულებდნენ ზოგჯერ და მათ ნაწერსა და ნამოქმედარს შუა დიდი მზღვარი იყო. მაგრამ რამდენი გენია ყოფილა ისეთი, რომ ადამიანობით კერძო ცხოვრებაში არ ვარგებულან? კმარა დავასახელოთ იგლისელი ფილოსოფოსი ბეკონი და ფრანგის ფილოსოფოსი ჟანჟაკ რუსო. განა რომ ადამიანით მოიკოჭლებდნენ ხსენებული გენიები, შთამომავლობამ დაუფასებლად დასტოვა მათი ნიჭის ნაწარმოები და თავი არ მოსწონს მათი სახელებითა? მაშ რა მოხდა ასეთი, რომ ილიას ღვაწლი სოციალ იდეათა განვითარებისთვის არ გვინდა ღირს სახსოვარ ვჰყოთ ამ სოციალსტური რეჟიმის დროს? ილიას მწერლობა აპოლოგია არის სოციალ იდეებისა და ვინც ამის უარს იტყვის, ის მოვალეა დაამტკიცოს წინაალმდეგი.

დრო არის, მოვახდინოთ ილიას სახელის რეაბილტაცია, როგორც დიდ ხელოვანი მწერლისა და ძეგლი ბიუსტი აუმართოთ სახელმწიფო ოპერის მეორე ბაღჩაში რუსთველის პროსპექტის გასწვრივ. სადაც აკაკი არის, იქ ილიაც უნდა იყვეს, ვინც ილიას არ მოაქცევს აკაკისთან ერთად პარნასელთა ხომლში, ვერ დავიჯერებთ, ასეთი საქციელი ჩაიდინოს მით, რომ ხელოვნება ან არ გაეგებოდეს, ან სძულდეს. **გლახის ნაამბობი, აჩრდილი, ოთარაანთ ქვრივი** და **განდეგილი** თავისთავად ძეგლია, მაგრამ ძეგლი იგი ილიას აუგია თავის თავისთვის თავისი ხელით და უკვდავ მყოფელია არა მარტო იმის, არამედ ქართველი ხალხისაც, როგორც დიდი კულტურის შემომქმედი გენიის. ჩვენ კი ხრწნადი ძეგლიც ვერ გაგვიმეტებია!

### 2. ილიას ნაწერების ბედი.

როგორც საზოგადოებას მოეხსენება, ილიას ნაწერების პირველი ტომი გამოსცა მ. გედევანიშვილმა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა მეორე ტომიც გამოეცა, რის თაოსნობა უკვე დაწყებული ჰქონდა.

ვისაც უნდა ეკუთვნოდეს უფლება ილიას ნაწერებისა, როგორც კერძო მემკვიდრესა, კერძო კაცის თაოსნობა ამ საქმეში ვერას გაჰხდება. მოვალეა წერა-კითხვის საზოგადოება, ან მწერალთა კავშირი, ხელი მოჰკიდოს ილიას ყოველი ნაწერის შეკრებას და გამოცემას. თორემ ეხლა რასა ჰგავს? **აჩრდილი** პირველ ტომში მოთავსებულია რამდენიმე თავდაკლებული იმ სახით, როგორც პირველად გამოიცა ცენზურისაგან დაბრკოლებული, სად არის დღეს სრული ხელნაწერი ვარიანტი **აჩრდილისა**?

**პეტრე მირიანიშვილი.**

# პატარა ფელეტონი

**პატარა ამბავი იმის შესახებ თუ რამდენი ოქროთი დავიბეგრე.**

ამხანაგებო! ძალიან უხერხულად მიმაჩნია და არც ვიცი თუ როგორ დავიწყო თქვენთან საუბარი, ვიანიდან არ ვიცი ჩემს თავს რა ვუწოდო—სახლის პატრონი თუ მდგმური, კერძო მესაკუთრე თუ პროლეტარი, მხოლოდ ის კი ფაქტია, რომ როდესაც ცხონებული მამა ჩემი იოსება გარდაიცვალა, თავის მემკვიდრეებს, ცამეტ სულს, დაგვიტოვა სამი ოთახი. (უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ არც „გორისპოლკომის“ საბინაო ნორმა არსებობდა, არც ეხლანდელი მისი „ჟილოტდელი“) მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენს ოჯახში რევოლუცია მოხდა და ოჯახის ზოგიერთმა წევრებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რის შემდეგაც მოხდა ოჯახის დიფერენციაცია ე. ი. რასკოლი, გამიჯვნა, გათიშვა. სახლებს, რა თქმა უნდა, ვპატრონობთ მაგრამ დღევანდლამდე არ ვიცით თუ რომელი მემკვიდრეა ფაქტიურად ნამდვილი სახლის პატრონი. მართალია ცალკე ვცხოვრობთ, მაგრამ ოჯახური ურთიერთობა და ძმობა-სიყვარული საუკეთესოდ სუფევს ჩვენს შორის. ერთი სიტყვით, ნამდვილი ფედერაცია გვაქვს.

როგორც გითხარით, ვცხოვრობთ საკუთარ ოთახებში ისე, რომ სახლის ქირას არავის ვაძლევთ და არც არავის ვართმევთ.

ამას წინად ჩემი უმცროსი და სოფიო მეუბნება: ბიჭო, მე და შენ ნამდვილი მოლა-მასრადინას საქმე გვემართება და ამიტომ, „ნეპის“ მიხედვით, ჩვენც ამიერიდან ოჯახურ ცხოვრებაში ახალი ეკონომიური პოლიტიკა უნდა შემოვიღოთო.

მე ღიმილით შევეკითხე თუ რა სურდა და შემდეგ წინადადება მივეცი, წარმოედგინა თავისი პროექტი.

მანაც უმალვე მომახალა რაღაც დაწერილი ქაღალდი.

— ეს რა არის? ვკითხე მე.

— ჯერ წაიკითხე!— იყო მოკლე პასუხი.

მეც დავიწყე კითხვა.

დეკემბრის თვეში „დვორნიკს“ მივეცით 400,000 ათასი;—ღამეის ასანთებათ ნავთში 350,000 ათასი;—ნაგვის გადასაყრელი 150,000 ათასი;—წამსვლელ-მომსვლელების ჩასაწერად და წვრიმალი ხარჯები 100,000 ათასი.—სულ 1.000.000 მან.

— მერე რა გინდა ამითი სთქვა? ვკითხე დას.

— ერთი ეს მითხარი. ჩვენ ვინა ვართ?

— ჩვენ ჯერა ვართ და-ძმა და მერე კიდევ მოქალაქენი.

— კიდევ რა ვართ? მკითხა ოსფიომ.

— კიდევ საბჭოთა პროფესიონალი მოსამსახურენი.

— ჰო და დიდებ მანდა!—შენიშნა სოფიომ და ისევ განაგრძო:—ერთი ეს მითხარი, ჩვენი ცხოვრების პირობები ნორმალურია? შენ ხომ ძალიან კარგათ იცი, რომ საბჭოთა მოსამსახურე მუშებს რუსთაველის პროსპექტზე მისცეს ბინები, მაგრამ ისინი იქ, თითო ოთახში თვიურად იხდიან 25-ის და არა უმეტეს 50—60 ათასისას. ჩვენ კი ამ გადაკარგულ ბნელი ქუჩის და იმავე დროს საკუთარ სახლებში ვიხდით ერთ მილიონს.

ახლა კიდევ იანვარიშ „რემონტი“ და ამას ისიც უეჭველად დაუმატე, რომ ამ სახლების მიზეზით „ჩისტკის“ დროს კინაღამ პროფკავშირის გარეშე დავრჩით.

გამეცინა.

— ჰო, შენ იცაინ, მე კი ამას წინად „ჩისტკის“ დროს კინაღამ გული წამივიდა; ერთი თმა შეკრეჭილი და სათვალებიანი, კომისიის წევრი ქალი შემეკითხა;—სახლები გაქვთო? დიახ გვაქვს მეთქი!—ჰო და შენ უნდა გარიცხულ იქნე პროფკავშირიდან, როგორც კერძო მესაკუთრეო; ვუპასუხე;—ამხანაგო! სახლებს რომ მოგახსენებთ, განა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე არამიანცის მსგავსი სახლებია? ჩვენი სახლები არსენალის იქითა გორაზე, შესდგება სამი ოთახისაგან და შიგა ვცხოვრობთ საბჭოთა მოსამსახურენი.

— ერთი სიტყვით, ჩვენი ცხოვრების ინტერესები შელახულია, არა?

— რასაკვირველია, შელახულია!..

— ჰო და აბა იფიქრე, ჩემო სოფიო, თუ რაღა დღეში იქნება მდიდარი ხალხი?

ყველაფერი კი ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენ „კერძო საკუთრება“ გვაქვს და როდესაც ეს კერძო საკუთრება მოისპობა საყოველთაოდ, მაშინ ყველას ინტერესიც დაცული იქნება.

ჩემს პასუხზე სოფიო ჩაფიქრდა.

* *

ამასობაში სამოქალაქო „ნალოგის“ დროც მოვიდა. იმ წამშივე ვეცი გაზ. „მუშა“-ს წავიკითხე დეკრეტი და შევადგინე სიები ისე, როგორც ეს დეკრეტში ეწერა. სუყველაფერი მზად იყო, მხოლოდ ფული მაკლდა. ოჰ, ეს წყეული ფული!

როგორც იყო ფულიც ვიშოვე, მაგრამ დახეთ უბედობას: ახალი დეკრეტი გამოვიდა „კატეგორია კი არა, ჯამაგირის რაოდენობის მიხედვითაო“. მეც დავხიე ძველი სიები და შევადგინე ახლები, მაგრამ არც ამით გათავდა საქმე. სწორედ ჯვარს ვეცვით დაწესებულებებიდან მოიწმობებს მიღებისათვის. როგორც იყო ესენიც მივიღეთ. ფულს, სიებს, მოწმობებს, მანდატებს და საბინაო დავთარს დავავლე ხელი და გავსწიე მილიციის სამმართველოსკენ. მაგრამ რას ვხედავ! იმოდენა ხალხი იდგა „ოჩერედში“ რომ მიტინგი გეგონებოდათ. მიუახლოვდი, მომცეს ნომერი 237, მთელი დღე ვიტრიალე, მაგრამ მაინც ვერაფერი გავაწყე. მეორე დღეც უნაყოფოდ მივაჭენტე. მესამე დილას შევყავი თავი მაგიდასთან. მაგრამ იცით რა მითხრეს?

ამხანაგო, ეს სიები ფორმალურად არ არის დაწერილიო. გამისკდა გული!

დავბრუნდი სახლში დაღონებული და კატეგორიულად გამოვაცხადე: „ჩეკაში“ ჩავჯდები და იმ „ოჩერედს“ კი აღარ ვიკისრებ მეთქი.

ჩემი და სოფიო შევიდა ჩემს ტრაღიკულ მდგომარეობაში და იკადრა სიების წაღება და „ოჩერედში“ ჩადგომა.

მხოლოდ მეორე დღეს ღამის 10 საათზე დაბრუნდა სოფიო გაყინული ტირილით.

— რა გატირებს ქალო, რა დაგემართა?

როგორ თუ რა დამემართა, როგორც იყო დიდი ტანჯვით შევედი, ფულიც მიიღეს, მაგრამ ის ოხერი მანდატები კი აქ დარჩენილა და მარკებიც დაუკვრელიო.

გაციებული ქალი ჩაწვა ლოგინში და მას დღიდან დამზღვევი კასის ექიმებთან დავრბივარ.

ხუთ-ხუთი დღეა მე და სოფიო სამსახურში აღარ გამოვცხადებულვართ. რას გვიზამენ, არ ვიცით. ხოლო ის კი ცხადია, რომ გაცდენის საპატიო მიზეზების ქაღალდებისთვის ალბად ერთი-ორი დღე მაინც მომიხდება სირბილი და იმასაც ვიშოვ[illegible] უწყის!

დღეს დილით [illegible] შე: სამმა ოჯახმა სამოქალაქო გადასახადი შევიტანეთ ნაღდზედ ოქროთი, ექვსას ხუთი ათასი მანათი ქართული ბონებით, ამას ზედ „მივაჩოთქე“ მე და სოფიოს მიერ გაცდენილი ხუთ-ხუთი დღის შრომის ჯილდო და გამოვსყავნე ჯამი:—

აბა გაიგე, მკითხველო, რამდენ ოქროს ან ვერცხლს შეადგენს ეს ჯამი?

**ტყის მელა.**

# მოწერილი ამბები

## წერილი სოფლიდან

**დაკოდვა.** ყველამ ვიცით, რომ ჩვენში და სხვაგანაც ჰკოდავენ თითქმის ყოველ მამალ საქონელს და ფრინველს—ცხენებს, ხარებს, ცხვრებს, ღორებს და სხვა (ე. ი. აცლიან სათესლე წყვილს).

უმთავრესი აზრი ამ უწყალო და ულმობელი საშუალებისა ის გახლავთ, რომ, ვითომც, დაკოდვისაგან საქონელი უფრო ამტანი, ღონიერი, წყნარი და მორჩილი ხდებაო, მაგრამ ეს მართალი არ არის. მართალია მარტო ის, რომ დაკოდილი საქონელი უფრო წყნარი და მორჩილი ხდება, მაგრამ რომ იგი ამასთანავე უფრო ამტანი, ღონიერი და უკეთესი მუშა ხდებოდეს, ეს კი დიდად შემცდარი აზრია და ხალხში თუ მაინცა და მაინც გავრცელებულია დაკოდვა, ეს მარტო იმით აიხსნება, რომ ჩვენმა მეურნეებმა ნაკლებად იციან ცხოველთა თესლის ფიზიოლოგიური დანიშნულება-მნიშვნელობა. მოგვყავს აქ რამოდენიმე აზრი მცოდნე და მეცნიერ ხალხისა ამის შესახებ.

დამტკიცებულია, რომ თესლის საუკეთესო ჰაეროვანი და სურნელოვანი ნაწილი წყვილიდან გადადის სისხლში, ახდენს მასში დიდს ცვლილებას და აღძრავს ცხოველში დაუშრეტელ ძალას. მაგალითად: ცდებით დამტკიცებულია, რომ ირემთა რქების გამოცვლას დიდი კავშირი აქვს წყვილის თესლთან. ეს იქიდამ სჩანს, რომ, რა წამსაც დაჰკოდავთ ირემს, მას რქა აღარ ეზრდება და აღარც ეცვლება, ხოლო, თუ ირემს მაშინ დაჰკოდავთ, როცა მას რქა უკვე ჩამოყრილი აქვს, რქები სრულიადაც აღარ ამოსდით. ცხადია, რომ თესლს და მის ორგანოს სისრულესა თუ მთლიანობას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონია ცხოველის არსებობაში...

შესანიშნავია აქ ერთი გარემოებაც: ირემს რომ მარტო ერთი სათესლე ორგანო ამოაცალოთ, რქა მარტო მეორე მხარეს ეზრდება, ამოჭრილ მხარეს კი სრულიად აღარ ეზრდება...

აიღეთ სხვა მაგალითებიც ცხოველთა, ფრინველთა და თუნდა მცენარეთა ცხოვრებიდამ. ცნობილია, რომ მომწიფების ხანაში ბევრი ცხოველი ისე იცვლება ფერით თუ სანახაობით, რომ, ხშირად, სრულიად ველარ იცნობთ: ეცვლებათ ხმა და ნიჭიერებაც კი. მუნჯნი მანამდე ახლა ისინი ნიჭიერ მომღერლებად და საუკეთესო ხუროთ-მოძღვრებად ხდებიან, მანამდე მარტო თესლეულით და მარცვლით მკვებავნი, ეხლა ხორცისმჭამელნი ხდებიან; მანამდე მარტო მიწაზე მცოცავნი და მხოხავნი, ახლა ფრთები ესხმებათ, ჭიები პეპლებად გარდაიქცევიან, მცენარეები იმოსება ათასნაირი, ფერად-ფერადი ყვავილებით და სხვა და სხვა.

ყველა ამ ცვლილებათა ძირითადი მიზეზი კი ერთად-ერთია—**თესლი**, და არა ცარიელი ჰასაკი, როგორც ჩვენში ჰგონიათ...

მოდი და ნუ დაუჯერებ მეცნიერებას, როცა ის ათასი ნიშნებით და მაგალითებით გვიმტკიცებს, რომ, რაკი სათესლე წყვილს ასეთი დიდი კავშირი აქვს ცხოველის მთელ სიცოცხლე-აგებულებასთან, არა და არ ვარგა ისე უაზროდ დაკოდვა მათი, როგორც ეს დღეს ჩვენმა მეურნეებმა იციან. არ დამავიწყდება თავის დღეში ის, რაც მე გნახე სოფელ ლილისყურში, როგორ ბარბაროსულად ასრულებენ იქაური დოსტაქრები ღორების წყვილის ამოჭრას.

უმთავრესი ნაკლი კი ამ საშუალებისა ის გახლავთ, რომ მეტად მავნებელია დაკოდვა **უდროვოდ**, ე. ი., იმაზე ადრე ვიდრე ცხოველის აგებულება სავსებით არ დამთავრდება, ვიდრე ცხოველი სავსებით არ გაიზრდება, რადგანაც, თუ ცხოველს არ დააცლით ამისათვის და ადრე დაჰკოდავთ ის მას შემდეგ აღარც გაიზრდება წესიერად, და მაშასადამე მიიღებთ მისგან ყოვლად სუსტ, უმნიშვნელო, დაუსრულებელ არსებას. ამიტომ ყოველი მეურნე აუცილებლად უნდა დაადგეს ორში ერთს გზას: 1) ან რაც შეიძლება გვიან დეკოდოს თავისი საქონელი. მაგალითად, არა ადრე ოთხი წლისა, რადგანაც, ხშირად, თვით ამ ასაკშიაც ბევრს მათგანს ჯერ კიდევ ჩამოსული არა აქვთ სათესლე საწყვილე ბუდეში და 2) ან **სრულიად არ დაკოდოს**, რაც უფრო კარგი, სასარგებლო და სათნოიანი საქმე იქნება, მეტადრე თუ ატყობს, რომ პირუტყვი დაუკოდავადაც წყნარი და მორჩილია.

ყოველს შემთხვევაში, რუ ჩვენი მეურნენი მაინც და მაინც არ დაიშლიან თავიანთი მარჩენელი საქონლის ნაძალადევად დასახიჩრებას—დაკოდვას, ვურჩევთ საამისოდ მუდამ ნასწავლ ბეითალებს მიმართონ ხოლმე, რადგანაც ახლა ყოველმა მათგანმა იცის გაცილებით უფრო ადვილი საშუალება დაკოდვისა, ეს გახლავთ ეგრედ წოდებული **სრესვის** საშუალება.

**ივანე როხტამაშვილი.**

# ხელოვნება

**„მზის დაბნელება საქართველოში“ —ზ. ანტონოვი.**—კ. მარჯანიშვილის დადგმა.

რუსთაველის თეატრი.

ა. ცაგარელმა და გიორგი ერისთავმა თუ მე-19 საუკ. ქართული ყოფა-ცხოვრების სურათი და ტიპები მოგვცა წარსულ ცხოვრების გაცოცხლებისა და აღდგენისათვის, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელებამ საქართველოში“ (უკანასკნელი დადგმით), უაღრესად თვალსაჩინო გახსენება მოგვცა იმ ტფილისის, რომლის ნაშთებიც ოდნავ-ღა დარჩენილან.

ძველი ტფილისი!.. ვის არ სურს იხილოს ეს ტფილისი, ზედმიწევნით ფერადი კალეიდესკოპი აღმოსავლეთისა, რომელშიც ქართველთ გვერდით არხეინათ დაუბინადრებია სპარსელსა და ოსმალს. სომეხსა და რუსს. აქ ისეთივე უდარდელი და მარტივი ცხოვრება სდუღდა, როგორი მარტივიც იყო მე-19 საუკ. ტფილისის არქიტექტონიკა. ვიწრო, მუდამ ახმაურებული ქუჩები, რომელთაც მუდამ ტონს აძლევს ძველი ტფილისის „კინტო“; კიდევ უფრო შფოთიანი მოედნები, სადაც ვაჭრობის გვერდით,—ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც სწყდება; აივნიანი თაღიანი სახლები, სადაც ძველი ტფილისელი მოქალაქენი გეურქები და მიკირტუმები, ზაალები და ინდოები კამათლის ტრიალთან ერთად არ ივიწყებდენ არცა პოლიტიკურ ცხოვრებას და „ქალაქის“ ამბებს, არც „თანამედროვე ცხოვრების“ სიდუხჭირეს.

რუსთაველის ძვირფას სტრიქონების გარდა აქ სწამთ და იციან „ეფრემ ვერდიც“, თავხურასა და ყურთმაჯებიან კაბებთან ერთად აქ თქვენ შეხვდებით მუნდირსა და „ხაბარდას“.

დღევანდელი ტფილისის ცხოვრება გადასხვაფერებულია, შეცვლილია, ხარფუხისა და შაითანბაზრის ზოგიერთი უბნები თუ მოგვაგონებენ წარსულს...

აი ეს ძველი „ქალაქი“ დაგვიყენა თვალწინ ზ. ანტონიშვილის კომედიამ „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელიც დიდი ხელოვნებით გააცოცხლა კოტე მარჯანიშვილმა.

მზის დაბნელება!..—ეს არის მთავარი ფაქტი; რომელსაც შეუშფოთებია ტფილისის უდარდელი მოქალაქენი და, რომელსაც მეტად ფერადი ფანტასმაგორია აღუძრავს მათ ფანტაზიაში, მევახშე სომეხი და ქართველი თავადი ისეთივე ლეგენდარულ წარმოდგენებით არიან აღსავსენი ამ მოვლენის გაგებაში, როგორც ქართველი გლეხი-ტეტია..- მათთვის ისევე სასაცილოა „კულტურტრეგერ“ პორუჩიკის ახსნა, როგორც სასაცილონი არიან ყველა ესენი ჩვენთვის დღეს, რომელთაც თუმცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაშორებს, მაგრამ მაინც დაგვრჩენია მათი სულიერი ნათესაობა.

გსურთ ყოველივე ეს უშუალოდ განიცადოთ?

— მოისმინეთ და იხილეთ „მზის დაბნელების“ განახლებული დადგმა ქართული თეატრის 73 წლის თავზე,—და თქვენ მთელი თქვენი არსებით, ეზიარებით ამ წარსულს, რომელიც რამდენათაც დაშორებულია ჩვენგან, ამდენათვე ლამაზია. აქ იყო მეტად ნაყოფიერი შეერთება პიესის ეთნოგრაფიული და მხატვრული მხარეების ერთს მთლიან თაიგულად, რომელიც სავსე იყო შთაბეჭდილებებით, მომხიბვლელი [illegible]

პიესის დადგმით სავსებით გამომჟღავნდა დიდი რეჟისორის ნიჭი და მიღწევა, მისი ფალრესი დიხვლოვნება, მოხდენილი დეტალიზაცია და ფერადების განაწილება.

რა ითქმის მსახიობებზე პერსონალურად? ამ პიესის დადგმამ ცხადად დაგვანახვა, თუ რა ძალა და ტემპერამენტი იმალება მათს გულებსა თუ ბუნებაში. წინებულმა ანსამბლმა და პიესის საერთო მსვლელობამ ვერ დაფარა მათი სახე; გაკვრითი მომენტებითაც კი საკმაოდ შესაძლებელი გახდა მთლიანი ტიპების ჩამოსხმისათვის. რამდენად მხატვრული და რამდენად ფლავორნი იყვნენ ჩვენი მსახიობები ამ თითქოს უმნიშვნელო და პატარა, მაგრამ საკმაოდ სერიოზულ და რელიეფურ როლებში (უკანასკნელ წარმოდგენების დროს მათი შემადგენლობა რამოდენიმედ შეცვლილი იყო).

პიესამ ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ თუ კი დღემდე ქართულ თეატრს მხოლოდ ქართველი საზოგადოება ესწრებოდა, უკანასკნელი წარმოდგენების დროს მან უცხო ხალხიც მიიზიდა, რომელიც დღესაც დაკავშირებულია ძველ ტფილისთან.

გ.—ძე.

---

**„გორსი მორადი"** კონსტანტინე გამსახურდიას მისტერიას „გორსი მორადი" კოტე მარჯანიშვილი დასდგამს, მოკლე ხანში რუსთაველის თეატრში. სამზადისი ამ პიესისთვის უკვე დაწყებულია.

## ქართველი ხელოვანი—პარიზში.

ამჟამად პარიზში იმყოფებიან რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი ხელოვანნი. ლადო გუდიაშვილმა დიდი სახელი გაითქვა. მას როგორც მხატვარს ყველანი იცნობენ. რამდენიმე თვის წინად აქაურ ერთ ერთ აკადემიაში მან თავის სურათების გამოფენა მოაწყო. მისმა ერთმა სურათმა „ქართული ქორწილი" დიდი ყურადღება მიიქცია როგორც პრესის, ისე საზოგადოების. ლ. გუდიაშვილს აქვს თავის საკუთარი ატელიე. მხატვარ დ. კაკაბაძეს კარგა ხანია არაფერი დაუხატავს. იგი გართულია მეცნიერულ მუშაობაში. პარიზის ბიბლიოთეკაში მუშაობს ქართულ არქივზე. მან ბევრი საინტერესო დოკუმენტები აღმოაჩინა. განსაკუთრებით ქართულ ქანდაკებების შესახებ. პარიზშივე მუშაობს ახალგაზრდა რეჟისორი კუშიტაშვილი იგი იმყოფება ოდეონის თეატრში და ჟემიეს ხელმძღვანელობით მეცადინეობს სასცენო ხელოვნების შესწავლისთვის. მას მისცეს დებიუტი, სადაც კრიტიკოსები კარგად შეხვდნენ. მუსიკოსი ჯაბადარი გაემგზავრა შვეიცარიაში. გერმანიიდან მოსულ ცნობებით იქ გაუმართავს კონცერტი ახალგაზრდა პიანისტს ირაკლი ორბელიანს და პრესსა აღფრთოვანებით შეხვედრია. ქართველი ახალგაზრდობა საზღვარ გარეთ მუყაითად მუშაობს, მაგრამ ცხოვრება უძნელდება დღევანდელ სიძვირის გამო და ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის.

# მოგონება გულო აღა კაიკაციშვილის შესახებ*)

ქართველი მაჰმადიანი, პატივცემული გულო ალა კაიკაციშვილი დღესაც ცოცხალი გახლავთ, თვით ეს პატივცემული დაასაბუთებს ჩვენს მოწმობას ამ წყევლის შესახებ და მიტომ უფრო ვსწერთ ამ მოგონებას, რომ ქართველ მაჰმადიანებმა ეგება ამას ყურადღება მიაპყრონ.

საქმე აი რაშია: ქართველ მაჰმადიანებში ძველადგანვე იყვნენ თითო ოროლა ისეთი გონიერი კაცები და ქალები, რომელნიც თავიანთ გადაგვარების და გათურქების საქმეს მწუხარე გულით უმზერდნენ, იგინი ყველგან მრავლად ლაპარაკობდნენ იმ გარემოებაზე, რომ თურქები ჩვენ რად გვათურქებენ და ჩვენს დედა ენას რათ გვავიწყებენო.

1854 წ. რუს-ოსმალოს ომის გათავების შემდეგ, თვით ოსმალოს მთავრობის თანხმობით, ქართველთ შთამომავალთ ხოჯებმა და მოლებმა დაიწყეს სასტიკის კილოთი უფრო განავრცეს თვისი წყევლა-შეჩვენება ქართველი ერის შესახებ. ასეთი პირობები ბევრს ქართველ მაჰმადიანს აბრაზებდა, ბევრნი ამაზე დაღონებულები იყვნენ და ყოველთვის და ყოველგან თავგამოდებით ლაპარაკობდნენ და სცდილობდნენ ცნობილი მოლების წინააღმდეგ. ასეთნი იყვნენ როგორც კაცნი, ისევე ქალებიც. 1860 წლებში ერთი ასეთთაგანი იყო პატივცემული გულო ალა კაიკაციშვილი, დარბაისელი ქართველი მაჰმადიანი, შეგნებული კაცი და ქართველი მწიგნობარიც.

ეს პატიოსანი ადამიანი 1855 წლების შემდეგ მუდამ თავდადებით იცავდა ქართულ ენას. მის მიერ ითქვა ერთი სამაგალითო სიტყვა ქობულეთში 1855 წ. ეს სიტყვა მე დავსწერე თვით ამ პატივცემულის სიტყვით 1890 წ. ხსენებული სიტყვა შემდეგია:

ბატონებო და ძია კაცებო, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანების დედა ენა არის ქართული, ჩვენ სჯულით მუსულმანები ვართ, ხოლო ტომით, ენით და სისხლით ქართველები ვართ, ამიტომ ჩვენი ენაც არის ქართული, ჩვენ არც თურქები ვართ, არც ქურთები, არც არაბები. ჩვენი ძველების, ანუ ჩვენი მამა-პაპების ენა ეს ქართული ენა არის და ამიტომ ჩვენგან მისი დავიწყება დიდი შეცდომა იქნება და მასთან მიუტევებელი ცოდვაც.

ისლამს არაფერი სადავო საქმე არა აქვს ჩვენ ენასთან, ჩვენ ვართ წმინდა მუსულმანები, მერე რას უშლის ამას ქართული ენა? არაფერს, ჩვენი ძველები ამ ენით ლაპარაკობდნენ, ჩვენი ძველებიც მუსულმანები იყვნენ, იგინი ქართულად ლაპარაკობდნენ, იმათ ლაპარაკს ისლამი არაფერს უშლიდა თუ კი ისლამი მაშინ არას უშლიდა რამეს და ქართველ მუსულმანებს არაფერს უფუჭებდა ეხლა ჩვენ რაღა გვემართება, ქართული ენა ისლამს რას უფუჭებს, რომ ჩვენ ამ ენას ეხლა გვავიწყებენ და გვაკარგვინებენ და მით ჩვენც გვათურქებენ.

ქართულ ენასთან ისლამს არაფერი სადავო საქმე არა აქვს და მასთან არც ქართული ენა ემტერება ისლამს, ეს არის ჩვენი შეცდომა, ჩვენი დაბრმავება და ნამეტურ ჩვენი ხოჯებისა და მოლებისაგან არ ცოდნა იმ მარტივი ჭეშმარიტების, რომ ჩვენ ვართ ქართველი მუსულმანები და არა თურქები და ქურთები. ამიტომ ვაცხადებ აშკარად და გულწრფელად, რომ ჩვენ ამ გათურქებას მხარი არ უნდა დაუჭიროთ, თორემ იგი იქნება ჩვენთვის დიდი ცოდვა და რისხვა.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენი ძველების, ეს ქართული ენა ჩინებულად უნდა ვიცოდეთ, ამ ენის დავიწყება ჩვენგან იქნება დიდი შეცდომა, ჩვენ რომ ეს ენა დავივიწყოთ, მაშინ ჩვენ რა პირით უნდა წავდგეთ ჩვენი წინაპრების წინაშე, რას გვეტყვიან იგინი, ასეთის გულგრილობით ჩვენ დავიმსახურებთ დიდს უკმაყოფილებას და წყევლას არამც თუ მარტოთ ჩვენის წინაპრებისაგან, არამედ ყველა შეგნებულ განვითარებულ კაცთაგანაც. ამიტომ გაუწყებთ ყველას, რომ ამ თქვენი ძველების ენას გაუფრთხილდით და მას თქვენ ნურას შემთხვევაში ნუ დაივიწყებთ, ვინც ამას არ შეასრულებს, ის იქნება შემარცხვენელი და თავის ძველების წინაშეც დამნაშავე.

ამიტომ მოგმართავთ ძმებო და ძია კაცებო, რომ ამ საწყევარ საქმეებს ერიდეთ და როგორც აქამდის ჩვენს ძველებს შეუნახავთ თავის დედა ენაც ქართული ენა; ჩვენც ისევე ეს ენა უნდა შევინახოთ მთელს ჩვენს სამუსულმანო საქართველოში, თქვენც ხომ იცით კარგათ, რომ ჩვენი ქვეყანაც საქართველოა და არა თურქეთი, ან ოსმალეთი.

ეს სიტყვა გახლდათ პირდაპირ იმისაკენ მიმართული, რომ ჩვენ ქობულეთელები, აჭარელნი, ლივანელნი, ზეგნელნი, მაჭახლელნი, მუხენელნი, იმერხეველნი, შავშელნი, არტაანელნი, ოლთელნი და ლაზებიც და ბევრიც სხვანი ვართ მოდგმით ქართველები, ჩვენი დედა-ენა არის ქართული ენა, ჩვენ ტომით ქართველები ვართ და სჯულით კი მუსულმანები.

გვითქვამს და ამიტომ კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენს დედა ენასთან ისლამს სადავო საქმე არაფერი აქვს, ჩვენი დედაენა ქართული ისლამს არაფერს უფუჭებს, არაფერს ვნებს. მაშასადამე ჩვენგან ამ ჩვენი ძველების დედა-ენის დავიწყება ჩვენგან არის დიდი ცოდვა, დიდი ბოროტება.

ჩვენი წინაპრები ამ ქართული ენით ლაპარაკობდნენ, ჩვენც ვართ მათი მიმდევარნი და შთამომავალნი, ჩვენი დედაენა არის ეს ჩვენი წინაპრების ენა და აბა ერთი თქვენა ბრძანეთ, თუ ეს ენა ვის რას უფუჭებს, ვის რას უშლის, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ჩვენი ძველების დედა-ენა დავივიწყოთ, ამაზედ ნურას ჩაქციებიან ჩვენ, ჩვენი დედა-ენის დავიწყება ჩვენგან შეუძლებელია.

არა ძმებო, და ამხანაგებო, არა, არა, ეს არ შეიძლება. ჩვენ ამის წინააღმდეგ უნდა წავიდეთ, ჩვენ არავის უნდა მივსცეთ ნება, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სამუსულმანო საქართველოში, ჩვენი დედა ქართული ენა იდევნებოდეს, ეს არ უნდა მოხდეს ჩვენ შორის, რადგანაც ჩვენც ქართველები ვართ მოდგმით, ჯიშით, სისხლით, ქვეყნით, ისტორიით და ქართულის ენით.

მაშ გაიკვეთეთ ეს დავალება, ჩემო ძმებო, მეგობრებო და ნათესავებო, რომ თქვენს ჯამებში, ნურც ერთ ხოჯას, და მოლას ნუ მისცემთ მის ნებას, რომ მან სძრახოს და სწყევლოს ჩვენი წინაპრების დედა-ენა ქართული. ეს არ უნდა მოხდეს ჩვენს წინაშე, თორემ ამითი ჩვენ ჩავიდენთ დიდს ცოდვას, მის შემდეგ ვერც ჩვენს წინაპრებთან წარვსდგებით ადვილათ და თავისუფლათ.

ჩვენ თუ ჩვენს ქართულს დედა-ენას დავკარგავთ, მაშინ ეს იქმნება ჩვენთვის დიდი სამარცხვინო საქმე, ამ შეცდომას ჩვენ არც ჩვენი ძველები გვაპატიებენ, იმათ ჩვენ გავერისხებთ ამ ენის დავიწყებით, რომ ეს ჩვენი წინაპრების ენა დავივიწყეთ, ამითი მათ დიდათ ვაწყენინებთ, ჩვენს შორის, რომ ეს უსიამოვნება არ მოხდეს და რომ ჩვენი წინაპრებიც არ გავარისხოთ, ამიტომ ჩვენ ეს ჩვენი დედა-ენაც უკვდავათ უნდა შევინახოთ, ეს ჩვენი ვალია და ჩვენი წინაპრების წინაშეც დიდი დავალება ჩვენი. ამისი დავიწყება ჩვენგან არც შეიძლება და ჩვენი იგი არც საკადრისია, რომ ჩვენ ჩვენი წინაპრების მშობელი ენა ადვილათ დავთმოთ და დავივიწყოთო."

ეს ვიკმაროთ სხვა სიტყვებს ჩვენ აქ არ მოვიყვანთ, მაინც ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენი დედა-ენა ქართული ადვილათ არ უნდა დავთმოთ, არ უნდა დავივიწყოთ, რადგანაც ჩვენის ძველების და წინაპართა ენა ეს იყო.

ესეთი სიტყვები გულო ალი კაიკაციშვილისა არავისა სწყინდა თურმე, ყველა გრძნობდა დარიგების სისწორეს და მის ჭეშმარიტებას, მხოლოდ ერთ გადაგვარებულ ხოჯას სწყენია ასეთი შინაარსის სიტყვები და ერთად ერთი ეს ხოჯა გამოსულა მოწინააღმდეგეთ. ამ ხოჯას გულო ალა კაიკაციშვილისთვის ასეთი პატარა პასუხი მიუცია.

გულო ალავ ძია ბატონო, თქვენ კაი სიტყვა თქვით, მაგრამ ის კი ვერაფერი საქმე იყო, რომ თქვენ სთქვით, რომ ჩვენ ქართველები ვართო. ამითი თქვენ ღმერთს შესცოდეთ. ჩვენ ქართველები რაიზედ ვიქნებით, როცა ქართველი ერი დაწყევლილია ღმერთისაგან, როგორც გიაური, ურჯულო, ისინი ქართველები ურჯულონი არიან და ჩვენ კი წმინდანები. ეს იყო თქვენს სიტყვაში ცუდის და დანარჩენი კი ყველა კარგი გახლდათ.

გულო ალამ მოისმინა ხოჯის შენიშვნა და იქვე ასეთი პასუხი მისცა ხოჯას.

ხოჯა, დიახ, ჩვენ ქართველები ვართ, რასაც თქვენ ცუდს უწოდებთ, ის კარგი გახლავსთ და რასაც კარგს უწოდებთ, ის კი ცუდია დიახ ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები ხოჯა ეს თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ.

ხოჯა ამ სიტყვაზედ გაბრაზდა და გულო ალას ასეთი პასუხი მისცა.

გულო ალა, ჩვენ მუსულმანები ვართ და არა ქართველები, ღვთისაგან წყეულები.

გულო ალამ მოისმინა ეს სიტყვა და ხოჯას ასეთი პასუხი მისცა:

პატივცემულო ხოჯავ, დაწყევლილი ქართველები კი არ არიან, დაწყევლილი ის ხოჯა არის, ვინც ეს ჭეშმარიტება არ იცის და მიტომ ქართველებს დაწყევლილებს უწოდებს.

ხოჯავ შენ მაგისთანა წყევლას თავი დაანებე, თორემ როცა იქნება, შენ ინანებ, მაგ წყევლისთვის ღმერთი დაგსჯის. დღეიდგან მაგ კილოთი ლაპარაკს თავი დაანებე და აღარსად სთქვა ხალხში, რომ ჩვენ ქართველები არ ვართ და ქართველი დაწყევლილია, თორემ ბოლოს დაისჯები მაგისთვის.

ხოჯა გაჩუმდა და ხალხიც დაიშალა.

ამის შემდეგ განვლო კარგა ხანმა და ბათომი და მისი თემი 1878 წ. საქრისტიანო საქართველოს შეუერთდა. ქობულეთში, ბათომში და სხვა ადგილებში რუსის მთავრობა და ქართველი ხალხიც შემოვიდა. ბათომში დამყარდა რუსეთის მთავრობა.

იმ დროს, ჩვენს ხოჯას რაღაც ხიფათი შეემთხვა რუსეთის მთავრობის წინაშე და იგი მის გამო ციხეშიაც ჩავარდა, ციხეში კარგა ხანს დარჩა და სრულაც დაისაჯა. იმ დროს, გულო ალა კაიკაციშვილს რუსის მთავრობის წინაშე კარგი ნდობა ჰქონდა.

ერთ დღეს გულო ალას მოციქულები მოუვიდა ხოჯასაგან და ხოჯას თხოვნა და მუდარება აუწყეს, რომ ეგება დამეხმაროთ და ციხიდამ განთავისუფლებული ვიქმნეო.

გულო ალამ შეისმინა ხოჯის დავალება, ამან მიიღო ზომები, მთავრობის წინაშე იმეცადინა და მცირე ხანს შემდეგ ხოჯა განთავისუფლებული იქმნა ციხიდამ.

ციხიდამ გამოსული ხოჯა ერთ დღეს გულო ალას სახლში ესტუმრა, პირადათ ნახა, დახმარების მიცემის გამო მადლობა გადასცა და თან ასეთი სიტყვაც უთხრა:

გულო ალავ ბატონო, თქვენ რაც სიტყვა მითხარით 20 წლის წინეთ, სწორეთ სთქვით და ჩემი წყევლა ქართველის დაგმეთ, მაშინვე ჩემი შეცდომის არაფერი მესმოდა, თქვენ სწორეთ მითხარით თურმე, რომ მაგ გზით სიარულს თავი დაანებე, თორემ ბოლოს ინანებო. აღსრულდა თქვენი სიტყვა, თქვენი წინასწარ მეტყველება და თქვენის სიტყვისამებრ მე ბოლოს დიდათ ვინანე, მაგრამ მაშინ გვიან იყო საქმე და ისევ თქვენ მიშველეთ [illegible] ხოჯა ბოდიშს და—თან—[illegible] გულო ალას, რომ [illegible] ქართველის წყევლას მე აღარსად ვიტყვი, რადგანაც მის გამო მე ჩემი სასჯელი ვნახეო.

ეხლა ამ სიტყვების მოგონებით მივმართავ ქართველ მაჰმადიანებს და გავახსენებ მათ წინაპართა სიტყვებს და ყოველივე იმას, რაცკი მაშინ ქართული ენის ცნობიერების შესახებ იხარჯებოდა და ვგონებთ დრო არის, რომ ამათაც შეიგნონ ეს თავიანთი ძველების თქმულება და ნამეტურ ხოჯებმა და მოლებმა თავი გაანებონ ქართული ენის, საქართველოს და ქართველების ძმობისა და წყევას თორემ ბოლოს ესენიც ინანებენ ისევე, როგორც წარსულში, მათმა წინაპარმა ხოჯამ ინანა.

მეტის მოყვანა ამის შესახებ საჭირო არ არის.

ეს სიტყვები მე დავსწერე 1890 წ. თვით პატივცემულის გულო ალა კაიკაციშვილის სიტყვით.

სამწუხაროთ ასეთ შინაარსის სიტყვების, რომელნიც მაშინ თქმულა ხოლმე ქართველ მაჰმადიანებში დღეს აღარავის ახსოვს.

ზ. ჰ.

*) ეს წერილი დაწერილია კაიკაციშვილის გარდაცვალებამდე. რედ.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დეკრეტი

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1923 წ. იანვრის 15.**

დამზღვევ საბჭოთა გაუქმების თაობაზე—ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება-ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭ. დეკრეტი—1922 წლის დეკემბრის 30 თარიღითა—დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: **ალ. ხიდარიძე.**

## დეკრეტი

**ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოსი 1922 წ. დეკემბრის 30.**

დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ.

შრომის დაქირავებულ პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტის მე-4-ე და მე-5-ე მუხ. შესაცვლელად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმებულ იქნეს 1923 წლის იანვრის 1-დან ამიერ-კავკასიის დამზღვევი საბჭო და რესპუბლიკების დამზღვევი საბჭოები.

2. ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და მის რწმუნებულთა სამართველოების შედგენილობიდან გამოყოფილ იქნეს სოციალური დაზღვევის განყოფილებანი.

3. დამზღვევ საბჭოთა მთელი აპარატი, მათი ფუნქცია და სახსარი გადაეცეს სათანადო სოციალური დაზღვევის განყოფილებას.

4. მაზრებში სოციალური დაზღვევის განყოფილებათა ფუნქცია დაეკისრება შრომის სამაზრო განყოფილებას, ხოლო სადაც იგი არ არსებობს, შრომის სახალხო კომისარიატის სარაიონო რწმუნებულს.

5. სოციალური დაზღვევის განყოფილებათა შესანახი ხარჯების გაწევა, როგორც სამეურნეო, ისე საორგანიზაციოხი, სწარმოებს სათადარიგო ფონდიდან იმ ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და მისი რწმუნებულები.

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიავა.**

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მდივანის მოადგილე: **ორლოვ-მალახოვი.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---


# თანახმად ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალურ განყოფილების კოლეგიის დადგენილებისა

**ა. წ. 20 იანვრის ქალაქის აბანოებში დამტკიცებულია**

**შემდეგი ნიხრი:**

აბანო № 3 (ყოფ. სუმბათოვისა)
**ნომრები:** 1, 2, 3—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 4 (ყოფ. არლუთინოვისა)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 5 (ყოფ. ცოვიანოვის)
„ 1, 2, 3, 4—150 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 6 („ფანტაზია)
„ 1, 2, 3, 4—150 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 7 (ყოფ. ირაკლის და შალამოვის)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 8 (ყოფ. ორბელიანის)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
„ 7, 8, 9, 11—150 ათასი მან.
აბანო № 9 (ყოფ. მირზოევის)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9—200 ათასი მან. საერთო კაცების 40 მან.
„ 10—150 ათასი მან. საერთო ქალების 40 ათასი მან.
აბანო № 13.
საერთო კაცების 50 ათასი მან.
აბანო № 14.
„ 1, 2, 3, 4, 5—200 ათასი მან. საერთო ქალების 50 ათასი მან.

2—1 278 კომუნალურ განყოფილების გამგე **დ. ბაქრაძე.**

---

## დოქტორი გ. მეგრაბიანცი

**„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებში."**

ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმყოფობისა. წამლობა და სურათის გადაღება სხივებით. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტში.

იღებს 9–12 ს. დღის და 5–7 ს. საღ.

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35


ტირაჟი 700

საქართ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2